სახელმწიფო შესყიდვის განმახორციელებელი:	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების საშუალება:	კონკურსი
შესყიდვის ობიექტის დასახელება:	სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურება

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო კომისიის სხდომის ო ქ მ ი # 4

თბილისი 17.12.2014წ.

თემა: სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ N 1404 კონკურსში - გამარჯვებული პრეტენდენტის, შპს „კოკს კონსალტის საქართველოს ფილიალისთვის" ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენის ვადის გაგრძელების საკითხის განხილვა.

საკონკურსო კომისიის შემადგენლობა:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მ/შ	ს. იობიძე

საკონკურსო კომისიის წევრები:

დეპარტამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე	ნ. გასვიანი
დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე	ი. ლითანიშვილი
საავტომობილო გზების ადმინისტრირების სამმართველოს უფროსი	გ. ამბრიაშვილი
ფინანსების მართვის სამმართველოს უფროსი	დ. ჯაგაშვილი
იურიდიული სამმართველოს უფროსის მოადგილის მ/შ	მ. ცენტერაძე
გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს უფროსი	ო. ხატიაშვილი
გზების რეაბილიტაციისა და პერიოდული შეკეთების სამუშაოების ორგანიზაციისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი	ა. გვაზავა
გზების განვითარების და რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის სამმართველოს უფროსი	ბ. მინჯორაია
გზების ტექნიკური ზედამხედველობისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსის მ/შ	თ.გერგაია
ნაპირდაცვის სამმართველოს უფროსი	თ. კაპანაძე
საერთაშორისო პროექტების სამმართველოს უფროსი	ვ. რაზმაზე
განსახლებისა და გარემოს დაცვის სამმართველოს უფროსის მ/შ	გ. რევაზიშვილი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი	შ. ხალვაში
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე	ლ. როსტომაშვილი
სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილის მ/შ	ი. ბობოხიძე

მსვლელობა: საკონკურსო კომისიის 2014 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილების (ოქმი N 3) თანახმად, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით ჩატარებულ N 1404-ე კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა - **შპს „კოკს კონსალტის საქართველოს ფილიალი"**, რომელსაც წერილობით (N 2-08/8368 - 03.12.2014) ეთხოვა, ხელშეკრულების გაფორმებამდე, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში (04.12.2014 - 17.12.2014) დეპარტამენტში წარმოედგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია,

რომლის ოდენობა უნდა ყოფილიყო სახელშეკრულებო თანხის 3% და მისი მოქმედების ვადა ძალაში უნდა ყოფილიყო 2016 წლის 15 თებერვლის ჩათვლით.

საკონკურსი კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ იქნა 2014 წლის 16 დეკემბერს საავტომობილო გზების დეპარტამენტში შპს „კოკს კონსალტის საქართველოს ფილიალისგან" შემოსული N 15185/2 წერილი, სადაც კომპანია აღნიშნავს, რომ საგარანტიო უზრუნველყოფის გასაცემად საბანკო დაწესებულების (სს „თიბისი ბანკი") მიერ განხორციელდა გარანტიის გაცემასთან დაკავშირებული პირობებისა და შესაბამისად პროცედურების შეცვლა, რაც ასევე მოითხოვს დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენას. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, შპს „კოკს კონსალტის საქართველოს ფილიალი" ვერ ახერხებს დეპარტამენტში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის დროულად წარმოადგენას. ამასთან დაკავშირებით, საკონკურსო კომისიას კომპანია თხოვს გარანტიის წარმოსადგენად არსებული პერიოდის გადავადებას.

გადაწყვეტილება: საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელა რა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით, „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3 ბრძანებით და საკონურსო განცხადების პირობებით დაადგინა:

1) გათვალისწინებულ იქნას შპს „კოკს კონსალტის საქართველოს ფილიალის" მიერ წერილში მოყვანილი ვითარება და სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე ჩატარებულ N 1404-ე კონკურში გამარჯვებულ კომპანიას - შპს „კოკს კონსალტის საქართველოს ფილიალს" ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის ვადა გაუგრძელდეს დამატებით 5 (ხუთი) სამუშაო დღით, და ის განისაზღვროს 2014 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.

2) დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს ლ. როსტომაშვილს, გამოქვეყნების მიზნით, უზრუნველყოს საკონკურსო დოკუმენტაციის გადაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით.

საკონკურსო კომისიის წევრები:

სალომე იობიძე	ნუგზარ გასვიანი
ოთარ ხატიაშვილი	ირაკლი ლიფანიშვილი
მარიამ ცენტერაძე	ბეჟან მინჯორაია
გივი ამბრიაშვილი	დემურ ჯაგაშვილი
თეიმურაზ გერგაია	ავთანდილ გვაზავა
ირაკლი ბობოხიძე	თეიმურაზ კაპანაძე
ვახტანგ რაზმაძე	გრიგოლ რევაზიშვილი
ლევან როსტომაშვილი	შაქრო ხალვაში

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

17 დეკემბერი, 2014 წელი

შესასყიდი ობიექტის დასახელება	სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურება

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის N3 ბრძანების მე-3 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ, „სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების" N 1404-ე კონკურსის საშუალებით შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

საკონკურსო კომისიის წევრები:

გრიგოლ რევაზიშვილი

KOCKS CONSULT GMBH KOCKS INGENIEURE

Kocks Consult GmbH • Kostava Str. Side Str. 1, Build 7, Apt 1 • 0108 Tbilisi, Georgia

Georgian Branch Office
კოქს კონსალტის საქართველოს ფილიალი
კოსტავას I შესახვევი, კორპ. №7, ბინა №1
0108 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: 995 32 2989363
ელ. ფოსტა: kocks_georgia@caucasus.net
ვებ-გვერდი: www.kocks-ing.de

საქართველოს რეგიონული განვითარებისა
და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ალ. ყაზბეგის № 12
0160 თბილისი, საქართველო

თბილისი, 15.12.2014

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის
თავმჯდომარეს ბ-ნ ვაჟა ფანჩულიძეს

სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურება

საბანკო გარანტია

ბატონო ვაჟა,

თქვენი 2014 წლის 3 დეკემბრის № 2-08/8368 შეტყობინების პასუხად გაცნობებთ, რომ თიბისი ბანკის მიერ შეცვლილია საბანკო გარანტიის მიღების პირობები. აღნიშნული პროცედურების გამო საჭიროა დამატებითი დოკუმენტების მომზადება, რაც თავის მხრივ მოითხოვს დამატებით დროს. გთხოვთ გადაგვიგადოთ ხელშეკრულების შესრულებელყოფის საბანკო გარანტიის წარდგენის ვადა.

პატივისცემით,

კარსტენ გრიზე
შპს "კოქს კონსალტის საქართველოს
ფილიალის" დირექტორი

15185/2
16. 12. 2014

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2–08/8745
17/12/2014

8745-2–08-2-201412172015

შპს „კოკს კონსალტის" საქართველოს ფილიალის
დირექტორს ბატონ კარსტენ გრიზეს

ბატონო კარსტენ,

გაცნობებთ, რომ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონკურსო კომისიამ, 2014 წლის 17 დეკემბერს გამართულ სხდომაზე განიხილა, შპს „კოკს კონსალტის" საქართველოს ფილიალისგან 2014 წლის 16 დეკემბერს შემოსული წერილობითი (N 15185/2) თხოვნა „სახიდე გადასასვლელების სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების გაწევისა და ცალკეულ ობიექტებზე, საჭიროების შემთხვევაში, საავტორო ზედამხედველობის გაწევის საპროექტო მომსახურების" შესყიდვის მიზნით ჩატარებულ N 1404-ე კონკურსის შედეგების საფუძველზე შპს „კოკს კონსალტის" საქართველოს ფილიალთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადის გაგრძლების თაობაზე.

საკონკურსო კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე, გაითვალისწინა წერილში მოყვანილი ფაქტორები და მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შპს „კოკს კონსალტის" საქართველოს ფილიალს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის წარმოდგენის პერიოდი გაუგრძელდა დამატებით **5** (ხუთი) სამუშაო დღით, და ის განისაზღვრა 2014 წლის 24 დეკემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

სალომე იობიძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი

.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge